საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/25

ქ. ბათუმი 21 თებერვალი, 2020 წ

ბსუ-ში სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-2, მე-7, მე-8 მე-19-20 და ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგის სპეციალისტის მადონა შავიშვილის 2020 წლის 20 თებერვლის MES 7 20 00220778 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რომლის ორგანიზება დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტსა და შიდა აუდიტის სამსახურს.
2. სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროს დაევალოს, რექტორის აპარატის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დარგობრივი სასწავლო დეპარტამენტებისა და სასწავლო პროცესის დეპარტამენტის თანამშრომლებთან, შესაბამისი სამსახურის უფროსებთან, ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მონიტორინგის ჯგუფების შემადგენლობისა და მონიტორინგის განხორციელების დროის განსაზღვრა.
3. მონიტორინგი (მეცადინეობის მიმდინარეობის შესაბამისობა სასწავლო ცხრილებთან, აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის მიერ ლექცია /პრაქტიკული/ ლაბორატორი ული მეცადინეობის გაცდენა, დაგვიანება, მეცადინეობიდან ადრე გამოსვლა და სხვა პირის მიერ მეცადინეობის ჩატარების ფაქტების აღრიცხვა) განხორციელდეს ბსუ-ს შესაბამისი დოკუმენტაციის გათვალისწინებით (სასწავლო ცხრილებით) და აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში ყოველი კვირის ბოლოს წერილობითი ფორმით წარედგინოს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
4. „ფორსმაჟორულ" სიტუაციებში, როგორიცაა სამუშაო საათების დროს უეცრად ჯანმრთელობის გაუარესება, ოჯახის წევრის/ნათესავის გარდაცვალება და სხვა გაუთვალისწინებელი პრობლემები, გაცდენილი საათების ჩატარების აღრიცხვიანობა დოკუმენტალურად იყოს დასაბუთებული. სააუდიტორიო მეცადინეობის გაცდენის დღესვე ან მომდევნო სამუშაო დღეს შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან, საინფორმაციო დაფაზე სტუდენტებისათვის განთავსდეს ინფორმაცია სააუდიტორო მეცადინეობის აღდგენის კონკრეტული თარიღის, ადგილისა (აუდიტორია, კორპუსი, სართული) და დროის შესახებ. ეს შეტყობინება ელექტრონულად (eflow-ს, ელექტრონული ფოსტის) გადაეგზავნოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შიდა აუდიტის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
5. მომდევნო თვის ხუთი რიცხვის ჩათვლით დარგობრივი დეპარტამენტის ანგარიში გაცდენილი და ანაზღაურებული საათების შესახებ დაეგზავნოს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტზე, შიდა აუდიტის სამსახურზე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურზე და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტზე გაცნობის მიზნით.

6. დაუშვებელია დამტკიცებულ სასწავლო ცხრილში არსებული მონაცემების ცვლილება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმების გარეშე.
7. დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველია წინამდებარე ბრძანების მე-4-6 პუნქტების შეუსრულებლობა და მეცადინეობებზე (ლექცია /პრაქტიკული/ ლაბორატორიული) აკადემიური მასწავლებელთა პერსონალის 10 წუთზე მეტი დაგვიანება ან ამავე დროით ადრე გამოსვლა ან/და მეცადინეობის გაცდენა, 15 წუთზე მეტი დაგვიანება ან ამავე დროით ადრე გამოსვლა ითვლება მეცადინეობის გაცდენად.
8. ამ ბრძანებით განსაზღვრული დისციპლინარული საქმისწარმოების დაწყებას ან/და დისციპლინარული სახდელის დადებას არ გამორიცხავს აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის მიერ იმავე თარიღით ჟურნალის შევსება ან/და შრომის ანაზღაურების ფაქტები.
9. დამტკიცდეს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ლექცია/პრაქტიკული/ ლაბორატორიული მეცადინეობების გაცდენისა და დაგვიანების ფაქტების ამსახველი ოქმების თანდართული ფორმები (დანართი 1, დანართი2).
10. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმების შევსების უზრუნველყოფა დაევალოს სასწავლო პროცესზე მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს, ხოლო „დადასტურება“ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს ან დეკანის მოადგილეს და დარგობრივი სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს.
11. 2014 წლის 6 ოქტომბრის N01-08/48 ბრძანება ძალადაკარგულად იქნას ცნობილი.
12. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად ჩაბარდეს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, შიდა აუდიტის სამსახურს და განთავსდეს საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები'').
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი დიმიტრი უზნაძის N52)
14. ბრძანება გამოქვეყნდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 21 თებერვლის № 01-02/25 ბრძანების დანართი 1

(ბსუ-ს) აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის მიერ ლექციის/პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობის

გაცდენის ამსახველი

ოქმი

202… წლის .....

ბსუ-ს----------ფაკულტეტის----------დეპარტამენტის აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის მიერ 20….-------- 20…. სასწავლო წლისათვის განსაზღვრული აკადემიური/საათობრივი დატვირთვის ფარგლებში არ ჩატარდა შემდეგი ლექცია/პრაქტიკული/ ლაბორატორიული მეცადინეობა:

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	სთ/წთ	რიცხვი	სპეციალობის საფეხური	სპეციალობა	სასწავლო წელი, ჯგუფი	აუდიტორია	შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა	შენიშვნა
1										

ფაკულტეტის დეკანი/
დეკანის მოადგილე

შენიშვნა ----------

,,ვადასტურებ''

- აღნიშნულის შესახებ ვიყავი ინფორმირებული
- აღნიშნულის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული

დრო -------- თარიღი---------

დარგობრივი სასწავლო
დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

შენიშვნა

,,ვადასტურებ''

- აღნიშნულის შესახებ ვიყავი ინფორმირებული
- აღნიშნულის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული

დრო ---------- თარიღი---------

სასწავლო პროცესის მონიტორინგის
განმახორციელებელი პირი

შენიშვნა

,,ვადასტურებ''

- აღნიშნულის შესახებ ვიყავი ინფორმირებული
- აღნიშნულის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული

დრო ---------- თარიღი---------

შიდა აუდიტის სამსახური

შენიშვნა

,,ვადასტურებ''

- აღნიშნულის შესახებ ვიყავი ინფორმირებული
- აღნიშნულის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული

დრო -------- თარიღი---------

დამატებითი ინფორმაცია ----------

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 21 --- თებერვლის № 01-02/25 ---------- ბრძანების დანართი 2

(ბსუ-ს) აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის მიერ ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობის

აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის მიერ ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიულიმეცადინეობაზე დაგვიანების ამსახველი

ოქმი

2020. წლის .....

ბსუ-ს----------ფაკულტეტის----------დეპარტამენტის აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის მიერ, დააგვიანა (.....) 201..– 2020.. სასწავლო წლისათვის განსაზღვრული აკადემიური/საათობრივი დატვირთვის ფარგლებში ჩასატარებელ შემდეგ ლექცია/ პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობაზე:

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	სთ/წთ	რიცხვი	სპეციალობის საფეხური	სპეციალობა	სასწავლო წელი, ჯგუფი	აუდიტორია	შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა	შენიშვნა
1										

ფაკულტეტის დეკანი/
დეკანის მოადგილე

შენიშვნა ,,ვადასტურებ''

- აღნიშნულის შესახებ ვიყავი ინფორმირებული დრო ---------- თარიღი----------
- აღნიშნულის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული

დარგობრივი სასწავლო
დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

შენიშვნა ,,ვადასტურებ''

- აღნიშნულის შესახებ ვიყავი ინფორმირებული დრო ---------- თარიღი----------
- აღნიშნულის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული

სასწავლო პროცესის მონიტორინგის
განმახორციელებელი პირი

შენიშვნა ,,ვადასტურებ''

- აღნიშნულის შესახებ ვიყავი ინფორმირებული დრო --------- თარიღი----------
- აღნიშნულის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული

შიდა აუდიტის სამსახური

შენიშვნა ---

,,ვადასტურებ''

- აღნიშნულის შესახებ ვიყავი ინფორმირებული დრო ---------- თარიღი----------
- აღნიშნულის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული

დამატებითი ინფორმაცია----------